ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №6

2 თებერვალი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
19:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
3. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
4. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
5. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
6. დავით რურუა - კომისიის წევრი;
7. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;

სხდომის დღის წესრიგი:

- ინფორმაციის მოსმენა მეტროსადგურ „ვარკეთილში“ მომხდარი ინცინდენტის შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისია წარიმართა ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიასთან ერთად.

მომხსენებელი:

- **ირაკლი ხმალაძე** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი;
- **მამუკა კობახიძე** - შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორი;

ი.ხმალაძე: - ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი შეხვედრა და მოცემული თემის განხილვა. არის კითხვები, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხები. აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომ მსგავსი ფაქტები ავირიდოთ თავიდან.

მზად ვართ, ჩვენი კომპენტენციის ფარგლებში, სატრანსპორტო კომპანიასთან ერთად ყველა კითხვას გავცეთ პასუხი.

ბ.დავითულიანი: მოხდა სამწუხარო ფაქტი. უნდა გამოვიტანოთ სწორი დასკვნები, გადავამოწმოთ რამდენად ხარისხიანად არის შესრულებული სამუშაოები.

ვ. შაქარიშვილი: რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა, იმ ფაქტის დასადგენად, თუ რამდენად ხარისხიანად და წესების დაცვით მოხდა ტექნიკური სამუშაოების შესრულება.

რ. სოხაძე: მსგავს სამუშაოებთან დაკავშირებით, როცა პროექტი მუშავდება, უნდა გაიწეროს ყველაფერი. ტენდერში უნდა გაიმარჯვოს იმ კომპანიამ, ვინც სრულფასოვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. მერიის შესაბამის სამსახურებს კი პროექტის ზედამხედველობასთან დაკავშირებით უნდა დაევალოთ მეტი პასუხისმგებლობა. ხელშეკრულებები, რომლებიც ფორმდება, კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს, უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი სტანდარტი. ზოგადად, მშენებლობასთან დაკავშირებით გამკაცრებულია ბევრი რამ, მაგრამ სანიმუშოდ უნდა ვაქციოთ ის პროექტები, რომლებსაც უკვეთავს მერია.

გ.გაბაშვილი: სატელევიზიო ეთერებში ,,ურბანული ლაბორატორიის" ხელმძღვანელი და ექსპერტი საუბრობდნენ, რომ შეკიდული ჭერი არ უნდა გაკეთებულიყო არცერთ მეტროსადგურში. ჩნდება კითხვები, თუ რატომ არ მოხდა ექსპერტის აზრის გათვალისწინება, რატომ დაევალა მერიის მხრიდან, შემსრულებელ კომპანიას, რომ გამოეყენებინათ არსებული კონსტრუქცია. სხვა მეტროსადგურებში ხომ არ არის მსგავსი, შეკიდული ჭერი გაკეთებული ან ხომ არ იგეგმება მომავალში. იყო თუ არა მერიაში შესული რჩევა/რეკომენდაციები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ი.ხმალაძე: მიმდინარე სამუშაოები შეჩერდა ყველა მეტროსადგურში. შესრულებული სამუშაოების ექპერტიზა აუცილებელია, მის გარეშე არ უნდა მოხდეს ობიექტების ჩაბარება, ასეთი ქმედებებით თავს დავიზღვევთ მსგავსი შედეგებისგან. გამოძიება დაწყებულია და გამოიკვეთება ყველა პირი ვისი არასწორი ქმედების გამოც დადგა მსგავსი შედეგი. პროცესში არის ხარვეზები და უნდა დაველოდოთ გამოძიების დასრულებას.

მიგვაჩნია, რომ მომავალაში უნდა მოხდეს პროექტების სიღრმისეული რევიზია. უნდა ჩატარდეს როგორც პროექტის, ასევე, მის საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ხარისხის დადგენის მიზნით შესაბამისი ექსპერტიზები. ასევე, მიგვაჩნია, რომ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში უნდა განხორციელდეს უფრო მეტი კონტროლი და ზედამხედველობა.

მ.კობახიძე: საპროექტო ორგანიზაციამ დადებითი რეკომენდაცია გასცა დაკიდულ ჭერთან დაკავშირებით, არსებობს ოფიციალური დასკვნა რომ არის მდგრადი. ექვს მეტროსადგურზე გამოცხადდა ტენდერი, აქედან მხოლოდ ერთში, ვარკეთილის მეტროში არის დაკიდული ჭერი.

თ.ისაკაძე: მეჩვენება, რომ წვრილმანებში გადავიჭერით. მაქვს სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრებები. სამშენებლო სტანდარტების შემუშავებაში კარგი იქნება თუ ჩაერთვება მერია, გადაიხედება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი. ინიციატივით შევიდეთ საქართველოს პარლამენტში, ერთხელ და სამუდამოდ გავმართოთ და დავხვეწოთ ეს კანონი.

შ. ოგბაიძე: უნდა ვიყოთ კონსტრუქციულები, სატრანსპორტო საკითხთა კომისია უნდა შეხვდეს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა შევიმუშაოთ ისეთი რეგულაციები, რომლებიც გამოგვადგება დედაქალაქში უკეთესი გარემოს შესაქმელად.

გ.გაბაშვილი: ჩემი ინფორმაციით, კომპანია, რომელმაც შეასრულა სამუშაოები, მათი არაჯეროვნად შესრულების გამო, ადრე იმყოფებოდა შავ სიაში. ასევე, მაინტერესებს, არსებობს თუ არა შუალედური მიღება/ჩაბარების აქტები და მოხდა თუ არა შესრულების ხარისხის შესწავლა.

ი.ხმალაძე: შავ სიას აქვს ვადა. თუ კომპანია შავ სიაშია, ის ვერ მიიღებს ტენდერში მონაწილეობას. მოცემულ პროცედურას სპეციალური პროგრამა აკონტროლებს. შავ სიაში კომპანია იმყოფება მაქსიმუმ ერთი წელი, ხოლო მას შემდეგ რაც მოხდება მისი მოცემული სიიდან ამორიცხვა, არ არსებობს ამ უკანასკნელისთვის, მოცემული საფუძვლით, ახალ ტენდერებში მონაწილეობის მიღების აკრძალვის შესაძლებლობა.

ზოგადად, მნიშვნელოვანია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის დახვეწა. ამ მიზნით, შესაბამის მოსაზრებებს მივაწვდით საქართველოს პარლამენტს.

ლ. გოგჩაიშვილი: სამწუხაროდ, თვითმმართველობის ორგანოებს არ აქვთ პარლამენტში საკანონმდებლო წინადადებების დაყენების უფლება. ჩვენი მხრიდან მნიშვნელოვან ცვლილებებს ვგეგმავთ. ყველანი დაინტერესებულები ვართ, რომ განხორციელდეს ფუნდამენტური ცვლილებები.

ი.ხმალაძე: დიდი სანდოობით სარგებლობს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო. წარმოდგენილ შემთხვევაში, არ ჩატარებულა შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა, მათი ხარისხიანობის დადგენის თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული კანონმდებლობა მსგავსი ტიპის ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულებას არ ითვალისწინებს. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები არსებულ საკანონმდებლო აქტებში.

რაც შეეხება თავად ,,ვარკეთილის“ მეტროში არსებული მდგომარეობის გამოსწორებას, შემსრულებელ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, გარანტია იყო 10 წელი, ამავე ხელშეკრულების მიხედვით, ხელახალი სამუშაოების შესრულების ვალდებულება ეკისრება შემსრულებელ კომპანიას ,,ყვარელრემშენი“. აღნიშნულის მიუხედავად, ვთვლით, რომ ხელახალი სამუშაოების ჩატარება უნდა უზრუნველყოს, სხვა, უფრო კომპეტენტურმა კომპანიამ, ხოლო დანახარჯების ანაზღაურება უნდა განახორციელოს მხარემ, ვისი ბრალეულობაც გამოიკვეთება საქმის დეტალური შესწავლის შედეგად.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა ცნობად მიიღეს მოსმენილი ინფორმაცია და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე თედო ისაკაძე